პეპელა დანაიდა

იცი, რომ ფრინველების გარდა თბილ ქვეყნებში პეპელაც მიფრინავს? ეს ტექსტი სწორედ ასეთ პეპელას გაგაცნობს.

დანაიდა დიდი ზომის პეპელაა. მისი ფრთების სიგრძე10 სმ-ია. ფრთებზე შავი ზოლები აქვს, კიდეებზე – **წინწკლები**. ამიტომ ამ პეპლის ცნობა ადვილია.

დანაიდა ზამთარს თბილ ქვეყანაში ატარებს. მისი მოგზაურობა ზაფხულის ბოლოს, შუა აგვისტოში, იწყება. ამ დროს **გამოჩეკის** პერიოდი დროებით წყდება. 300 მილიონი დანაიდა ერთად ტოვებს კანადასა და ჩრდილოეთ ამერიკას. ისინი მექსიკისკენ მიფრინავენ. დღეში **თითქმის** 80 კმ-ს ფარავენ. **მხოლოდ** საკვების მისაღებად თუ ჩერდებიან. მათ არ აშინებთ ძლიერი ქარი და წვიმა. დანაიდა 4-5 კვირას ცოცხლობს. ამიტომ გზაში ბევრი პეპელა **იღუპება**.

გამრავლებას დანაიდა უკვე თბილ ქვეყნებში აგრძელებს. როცა გაზაფხული დგება, პეპლები ისევ ცაში აფრინდებიან. ისინი უკან, მშობლიური მხარისკენ, მიფრინავენ. სამშობლოში მხოლოდ მესამე ან მეოთხე თაობის პეპლები ბრუნდებიან.

დღემდე ზუსტად არავინ იცის, როგორ ახერხებს ეს **ნაზი** არსება 5000 კმ-ის გავლას. ამიტომაც ფიქრობენ, რომ დანაიდას მოგზაურობა ბუნების **სასწაულია.**

ტექსტი გადამუშავებულია
ბაკურ სულაკაურის
,,მსოფლიოს საოცრებების“ მიხედვით.

რატომ მიაჩნიათ დანაიდა ბუნების საოცრებად?

დონე: *A* გამარტივული, **კომპონენტი:** *მთავარი იდეა და დეტალები*

ტექსტის გაგება

ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.

1 რომელი წინადადება გადმოსცემს ტექსტის ძირითად აზრს?

ა) დანაიდა გადამფრენი პეპელაა.

ბ) დანაიდა ძალიან ნაზი პეპელაა.

გ) დანაიდა 5 კვირამდე ცოცხლობს.

2 რომელი დეტალიდან ჩანს, რომ დანაიდას ცნობა ადვილია?

ა) დანაიდა გამრავლებას თებერვალში იწყებს.

ბ) დანაიდა დღეში 80 კმ-ს ფარავს.

გ) დანაიდას ზოლები და წინწკლები აქვს.

3 დანაიდას მოგზაურობა ბუნების სასწაულად მიაჩნიათ, რადგან:

ა) 300 მილიონი დანაიდა ერთად ტოვებს სამშობლოს.

ბ) ასეთი ნაზი არსება ასე შორს ფრენას ახერხებს.

გ) ის ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ მიფრინავს.

4 რომელი დეტალი *არ ჩანს* ტექსტში?

ა) რა სიჩქარით მიფრინავს დანაიდა თბილი ქვეყნისკენ.

ბ) რატომ დებენ გადამფრენი პეპლები კვერცხებს თბილ ქვეყნებში.

გ) რის გამო იღუპებიან გადაფრენის დროს დანაიდები.

▶▶▶ ლექსიკა

1 გაარკვიე ხაზგასმული სიტყვების მნიშვნელობები.

1. დანაიდას ფრთების კიდეებზე **წინწკლები** აქვს.

   ა) დიდი რგოლები. ბ) პატარა წერტილები. გ) სქელი ზოლები.

2. დანაიდა დღეში **თითქმის** 80 კმ-ს ფარავს.

   ა) დაახლოებით. ბ) ზუსტად. გ) ყოველთვის.

3. დანაიდა **მხოლოდ** საკვების მისაღებად ჩერდება.

   ა) ზოგჯერ. ბ) მარტო. გ) ხშირად.

4. გზაში ბევრი დანაიდა **იღუპება**.

   ა) ისვენებს. ბ) იღლება. გ) კვდება.

5. დანაიდა სხვა პეპლებივით **ნაზია.**

   ა) პატარაა. ბ) სუსტია. გ) ჭრელია.

6. დანაიდების მოგზაურობა ბუნების **სასწაულია**.

   ა) საოცრებაა. ბ) საჩუქრია. გ) სილამაზეა.

▶▶▶ გრამატიკა

1 რომელი სიტყვაა გამოტოვებული?

---------- არ აშინებს ძლიერი ქარი.

ა) დანაიდა. ბ) დანაიდამ. გ) დანაიდას.

2 სწორად დაასრულე სიტყვა.

ისინი კანადიდან მექსიკის. . . მიფრინავენ.

გრამატიკა

3 დაწერე სიტყვები მრავლობით რიცხვში.

ნიმუში: დღე – დღეები.

1. კიდე – ----------.
2. მხარე – ----------.

4 სწორად შეარჩიე გამოტოვებული სიტყვა.

1. დანაიდას ამოცნობა ადვილია, ---------- მას ფრთებზე ზოლები აქვს.

(რადგან, რათა)

5 იპოვე შეცდომები და აღნიშნე X-ით.

	☒ *პეპელები.*	☐ *პეპლები.*
1.	☐ ქვეყანიდან.	☐ ქვეყნიდან.
2.	☐ მხოლოდ.	☐ მხოლოთ.
3.	☐ გაზაფხულზე.	☐ გაზაფხულში.

წერა

წარმოიდგინე, რომ დანაიდებს შეუძლიათ თვითონ გვიამბონ თავიანთი გადაფრენის შესახებ. ტექსტში მოცემული ინფორმაციის მიხედვით დაწერე ერთ-ერთი დანაიდას ნაამბობი. გააფორმე შენი ნაწერი ნახატებით.

შეგიძლია დაიწყო ასე:

დადგა შუა აგვისტო. მე და ჩემი ოჯახის წევრები, ნათესავები, მეგობრები გასაფრენად მოვემზადეთ. დავემშვიდობეთ ჩვენს მშობლიურ კუთხეს და...

_____

_____

_____

_____

_____

_____